23 მარტი, 1908 წ.

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი



# ეშმაკის მათრახი



№ 23




ჭეშმარიტ ქართული სამართალი.

„მსაჯულები".

(მიბაძვა)

მუდამ დღე და ისიც ცხადში
ქართველ „მსაჯულთ" ვხედავ კრებას!
გეფიცებით, გული ჩემი
ველარ იტევს ნეტარებას.

თვალნი ალარ შორდებიან,
აზრიც მათზე მიიჯაჭვა,
და იმათმა ეშხის ალმა
ლამის არი ცოცხლათ დამწვა.

თავმჯდომარეთ ვალოდია
უზით, (მამა ხულიგანი),
მარცხნივ,—კიტა აბაშიძე,
მარჯვნივ,—წმინდა სილოვანი.
ბრალმდებლებათ გამოცდილი
ვალიკო და ჩვენი ია,
ღმერთო ჩემო! ერთი ნახეთ
რა კოხტაა! რა კარგია!!!
ჯოჯოხეთიც დამივლია,
როგორც ეშმაკს და სატანას,
მაგრამ ვფიცავ, ტურფა სურათს
არ შევყრივარ ამისთანას.
ცალ-ცალკე და ყველა ერთად
აზრით „წმინდა“ გრძნობით „სრული“!
წინ სოციალ-დემოკრატი
უდგათ მკლავებ გაბაწრული!
მათი ტკბილი „ძილის-პირი“
ყურს საამოთ ჩაეწვეთა,
გულის სიღრმეს ჩარგო თავი
და სადგური გაიკეთა.
ჭაბუკს სჯიდნენ, რომ მან ხალხში
მოძრაობა მოახდინა,
რომ სამშობლო ააოხრა,
და სისხლის ზღვა მოადინა.
რომ მან ხალხი გააღვიძა,
გაიტაცა ბრძოლის ველზე,
რომ არსებულ წყობილებას
მიაბჯინა დანა ყელზე.
რომ მან, როგორც ერთი კაცი
აამხედრა მთელი მხარე,
რომ ქვეყნის ძველ ჰირისუფლებს
რისხვა დასცა თავს მქუხარე.
რომ მან ეს ქნა... რომ მან ის ქნა
ათასი რამ ამის გვარი,
„ჭეშმარიტ ქართველთა“ აზრით
სამარცხვინო, საზიზღარი.
მე მესმოდა ეს ბრალდება
ზუბრთა გულის შემაზარი,
და ვფიქრობდი: ნეტა ვახტანგს,
თუ აქვს მუხლი შესადარი!
პროკურორი ეკალაძე
მარგალიტის დორბლს აფრქვევდა,
წამ და უწუმ ჰორი წმინდა
მისთა ბაგეთ შეარხევდა.
ხეობელის წმინდა ენით
გუნიაც ხელს არ აკლებდა
და გაბაწრულ „დამნაშავეს“
თვალს აავლებ-ჩაავლებდა...
საერთოდ კი, მთელი კრება
მოძრაობას ფრჩხილში სვამდა,
ნიშნად მასზე გამარჯვების
ულვაშებზე ხელს ისვამდა.
დიდხანს ვიდექ შორი-ახლოს
გაოცებულ მოხიბლული...
და ვფიცავ კუდს მათრახისას
დღესაც კი ძგერს ჩემი გული.

**ეშმაკი.**

P. S. იქნებ კრება დიდებული
მე სრულად ვერ დამესახოს
და ვსთხოვ მკითხველს პირველ გვერდზე
მათი სახე თითონ ნახოს.

**ე.**

## ამონაკვნესი.

„Тебѣ, я знаю не понять
Мою тоску, мою печаль;
И если-бъ могъ—мнѣ было-бъ жаль“.
Лермонтовъ.

მყუდროებაა, ირგვლივ სიჩუმეს,
სარღვევათ მხოლოთ კვნესა შთენია,
ნაყოფი მისი, რაც სულს აწუხებს,
და იარებათ გულს დასჩენია!
სადღაა ბრძოლა შიშველი მკერდით,
ორონ-ტრიალი, თავ-დავიწყება,
და ის ყიჟინა, სევდა-ვარამის
ჩახრჩობა-მოკვლა, რომ შეიძლება?
მას ჩავეკარი ტანჯვის სამეფო,
ხვედრმა მის ტალღებს მე შემაუგვარა,
და ნუ თუ ეხლა ჩემგან შორს არის.
მანაც გამწირა, დამტოვა ჩქარა?!!
არა, ის ისევ მომინახულებს,
მისგან ღალატი არა მგონია,
მან ერთმა უნდა დაასამართოს
მუხთალ დროების წეს-კანონია!
მაშ, დღეს ვიტანჯო, ჩემო მტარვალო,
ჰა, შემომხედე იღიმე გულში,
მხოლოთ ერთს გკითხავ: იცი ამ ტანჯვას,
რომ არ გაგიცვლი მაგ სიხარულში?!!

**რ. ლეჩხუმელი.**

## ბათუმის აჯან-ჩავანი.

დაბერა გაზაფხულის სიომაც. რამდენ ღარიბ ლატაკის ბედნიერებას შეადგენს ეს დალოცვილი გაზაფხული! აქამდის სანახევროთ შიშველ-ტიტველი დღეს მუქთად იცვამს, იხურავს და თბება. ისე გავიდა მთელი ზამთარი რომ ბათუმის ქუჩა-ბულვარი მხოლოთ თბილ პალტოიანების კუთვნილებას შეადგენდა. მარა გაზაფხულის ცნობილმა ნიავმა ამათ მეტოქე გაუჩინა. ახლა უპრალო ბლუზის პატრონსაც თამამათ შეუძლია ზამთრის ბუნაგიდან ქუ-

ჩას ესტუმროს, რადგანაც მადლიანი მზე ბუნებრივ პალტოს მუქთად იძლევა. ამ მხრით დაზღვეულმა სიცივისაგან, მეც დავრეკე ნაცარი ამ გაზაფხულის პირზე და ზამთრის უნახავი ბათუმის არე მარის დათვალიერება განვიძრახე.

ჯერ პირველად ქალაქის სამკურნალოს ვესტუმრე ბათუმში ამ დროს ყვავილი იყო მოდებული. ჩემდა ბედათ ამ სენში გამოვლილი გახლავარ და რადგანაც ყვავილიანების რაოდენობა და მდგომარეობა მაინტერესებდა, სწორეთ იმ განყოფილებაში შევედი პირველად, რომელიც ამ სენიანებისათვის არის დანიშნული. ასი რიცხვიდან მხოლოთ 30 აღმოჩნდა აქ მწოლარე და ისიც საშინელი მშფოთარენი, (ყვავილმა საშინელი სიცხე იცის. ასე რომ ადამიანის ლოგინში დამაგრება ამ დროს ყოვლად შეუძლებელია, თუ ზედ მაგრათ არ დააკოჭე, დანარჩენები კი სამლოცველო ოთახში დაესვენებიათ. ნაკლებათ ჩნდა მოსამსახურეთა რიცხვი; ამიყობაში გართულიყვნენ. მხოლოთ ხანჯალ დამბაჩიანი ერთი მაჭმადიანი დაეძებდა რაღაცას, თუ ვიღაცას. სხვაფრივ ამ განყოფილებაში ყველაფერი წეს-რიგზე არსებობდა. შევიხედე მეორე განყოფილებაში. აქ ორი ავათმყოფი ერთმანეთს ბლიკავდენ, სხვაფერ არ იფიქროთ,—სცემდენ ერთმანეთს და გამშველებელი არავინა ჩნდა. ერთ ოთახში ტვინის ანთებიანი იწვა და რადგანაც თოვლის საწყობი სარდაფი ცოტა მოშორებით—ბოგას გამოლმა სასმელების დუქანში გადმოეტანათ, ჯერ თავზე ცივ ტილოს აფარებდეთ: განკურნებულიყო კაცი ვინმე, შინ წასვლას ეპირებოდა, მარა თეთრეულის ამარა ეს არ შეიძლებოდა, მისი ტანისამოსი საწყობიდან ვიღაც ორ ფეხა თაგვს გაეტაცნა.

ვიფიქრე: უპრავას სპერმაკუდინი, ხოლო ამათ სპერმაწყვიდინი თქო და გამოვბრუნდი.

ბევრი ვიარე, თუ ცოტა ვიარე, ქალაქის მესვეურთა კეთილ განსასვენებელ საკრებულოს ვესტუმრე და უხმო ხმოსანთა კრება ვიხილე. წლიურ ხარჯს ანაწილებდენ. ასწიეს, დასწიეს, ასწონეს, დასწონეს და სხვათა შორის შემდეგი დაადგინეს: 1) თუმცა საკრებულო სახლი მრავალ ოთახიანია და ქალაქს შეძლება ნაკლებათ აქვს, მარა ახლად გამოყვანილი წყლის გამგეობისათვის ახალი შენობა დაიქირაონ. 2) ანთებიან სნეულთა სარეცელზე დასაკოჭავ საავათმყოფოს ექიმებს, რადგანაც 100 ყვავილიანებში მხოლოთ 70 უკვდებათ, საკუთარ ბინაზე ტელეფონები მოუწყონ. 3) ათას ხუთას მანათიან მოსამსახურეს მიუმატონ მხოლოთ 300 მანეთი. 4) დაბალ მოსამსახურეებს, რომლებიც თვეში 24 მანეთს იღებენ, ჯამაგირის მომატებაზე ვარი ეტკიცოს. (ამ უკანასკნელ დადგენილებაში უპრავის პურიშკევიჩ ათინელს დიდი ღვაწლი მიუძღვნის). უნდა მოგახსენო რომ გაზაფხულზე დიდხანს სიარული ადამიანს აცეტებს და ჩემზედაც გავლენა იქონია ბუნებამ; შევიქენ იძულებული ბინასა შინა მივქცეულიყავი. მხოლოთ ხმოსნებს კი კუდი მათრახისა ვუსურვე ასაცხელებლათ რბილი ნაწილისა.

**ბლიკვაძე.**

**შეკითხვა და პასუხი ქართულ სალამოზე ჟეტონების ექსორიის შესახებ, ანუ ქ-ნი „არ ვიცი“.**

— რამდენი მიიღეთ ჟეტონი?

— არ ვიცი.

— რამდენი გაყიდეთ?

— არ ვიცი.

— რამდენი აიღეთ ფული?

— არ ვიცი.

— ამა და ამ კაცმა ხომ ამდენი და ამდენი ჟეტონი გადმოგცათ?

— არ ვიცი.

შემკითხველი განცვიფრებაშია. მე სულაც არ გავნცვიფრებულვარ, რადგან ძალიან კარგად მივხვდი რაშიც იყო საქმე და ქ-ნ „არ ვიცის“ პირველათ კუდინი ვასხურე და მერე მათრახის კუდიც წაუტკიცინე. შეხტა და „არ ვიცი-ს“ ყვირილით მოკურცხლა.

**კვინწარი.**

## პროლეტარიატის აღსარება.

ბნელში ვიდოდით, ვერ ვხედავდით სხივს მოელვარეს,
მძიმე უღელ ქვეშ სცოდავათ ვიკაკვებოდით?!
და მუხლ-მოყრილნი შველას ვსთხოვდით ზეცად მჯდომარეს...

მაგრამ არრისგან განა რასმე ვღირსებოდით?!
წელი წელს ცვლიდა, საუკუნე—საუკუნესა,
და ჩვენ კი ისევ მონობაში გვხდებოდა სული,
ვიტანჯებოდით, ჩვენი მოთქმა, წუხილი, კვნესა,
ზეცას წვდებოდა, მიწას რწყავდა ცრემლთ ნაკადული.
და ამ ტანჯვაში აგვეხილა კიდეც თვალები,
შევიგნეთ ნათლათ, რომ ხსნა მხოლოთ ბრძოლაში არის,
შევაკავშირე დაქსაქსული ჩვენი ძალები,
ავმართეთ დროშა დამცემელი მტარვალთ თავზარის.
და გამოვედით ბრძოლის ველზე თავგანწირულნი,
ქედმოუხრელათ ვებრძვით მარად ჩვენ სისხლის მსმელებს,
ვიდრე სრულიად არ მივაღწევთ მიზანს ტანჯულნი
ძირს არ დაუშვებთ საბრძოლველათ ამართულ ხელებს!

**ვ. ჩახრუხაძე.**

## ს ი მ ღ ე რ ა.

(ჰიბაძვა აკაკისა).

რა დროს ცრემლია, როდესაც
მზემ ზურგი აგვიცხელაო?
ბუნებამც ლხენა დაიწყო:
ოდელა, დელა, დელაო!
მეც მინდა სევდა გავფანტო,
საქმე რომ გამიძნელაო
და აღარ ვტირი, ვიმღერი:
ოდელა, დელა, დელაო!
სადა ხარ, ჩემო მოკეთევ:
ძმავ, ამხანაგო, ყველაო?

მოდით და ერთად ვიმღეროთ:
ოდელა, დელა, დელაო!

ქირმა თუ თავი იჩინა,
მას ადრე უნდა შველაო,
რომ არ გადიქცეს ტირილათ...
ოდელა, დელა, დელაო!

ასეა აწმყო ცხოვრებაც,
რომ უყვარს ჩვენი წველაო
და თან გვიმღერის ძილის პირს:
ოდელა, დელა, დელაო!

მლილმა თუ ქია-ღუამა
კისერი წაიგძელაო
და გასძახიან ჩვენ ზურგზე:
ოდელა' დელა, დელაო!

გველი კვლავ გესლით სისინებს,
ქვეშ-ქვეშ იცინის მელაო
და ხითხითებენ ბოროტათ:
ოდელა, დელა, დელაო!

მიკიტანს დარი დაუდგა,
ღვინისა უყვარს ზელაო,
ტრიალებს სუფრის გარშემო,
ღიღინებს: დელა, დელაო..

ვაჭარმაც, დახლში ჩამდგარმა,
დაიწყო მჯიღში ხველაო,
ჩუმი ღიმილით ტყავს გვაძრობს,
ოდელა, დელა, დელაო.

ბანკირი ვინმე, ბურჟუა
ბაჯ-ბაჯებს ნელა-ნელაო,
სუქდება ჩვენი ოფლითა
და ლხინობს: დელა, დელაო·

ჩინოვნიკს საქმე გაუჩნდა
თხოვნები ააჭრელაო:
გლეხმა იტიროს, სხვებმა კი
იმღერონ: დელა, დელაო!

„პაგრომშჩიკს“ მისცეს „ტრიცეტკა:“
მან ყელი ჩაისველაო,
მოსდგა და წაღმა უკუღმა.
ღრიალებს: დელა, დელაო.

შინაურებიც ახირდენ.
მღვდელმაც კი დაგვიხელაო
უმღერის თავის დრამასა:
ოდელა, დელა, დელაო!

მწერალმაც, მამასახლისმაც
ატეხეს ხათაბელაო,
ხელი ჩაჰკიდეს „სტრაჟნიკებს,“
მღერიან: დელა, დელაო...

სოფლის ყვავი და ყორანი,
სვავ-სვუვი და წრუწელაო
შეთანხმდენ, შექნეს კონცერტი:
მღერიან, დელა, დელაო!

ამ დროს სადახარ, მოკეთევ,
ძმავ, ამხანაგო ძველაო,
რომ არ მესმოდეს ამ ჰანგზე
ოდელა, დელა, დელაო?!

რომ შევუტიოთ' გავფანტოთ
სევდა, ჭირი და ბელაო,
კვლავ ავამღეროთ სხვა ხმაზე
ოდელა, დელა, დელაო!..

**ნ. ზომლეთელი.**



# ორი ეშმაკი

## (სამი იღბალი.)

მეორე ე'მ. მო, ყური მიგდე, მოგითხრობთ
ამბავსა გასაკვირებსა:
როგორი დასდევთ იღბალი
ნიშადღუროსან „გმირებსა,“
ვითარ პოვებენ უზომო
ქანქროვან ჯამაგირებსა,
ოდეს დასწერენ გაზეთად
„ესდეკთა“ ჩვენთა ძვირებსა
ცნობილსა ყრმასა **ხეობელს***)
მარად-ჟამს მოყიალესა,
საქმისა გარე მდგომარეს
„ვლეხების მოტრფიალესა,“
არავინ მისცა „საკუთე“
თხოვნების წერით ლალესა,
აშკარა იყო: „მამულის
ღალატი“ დააბრალესა.
მაგრამ მოჰყიქდა ხეობელს
ესე უქანქროთ ვლინება

*) მე აქ არ ვიტყვით „იგივეს“
სახელა და გვარსა მისასა,
როგორც სჩვევია „ნიშადღურს“
გაზეთს ველური ზნისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორისა გუდა მოიგდო,
(პროკურორობა ინება)
და ქართლის მოძრაობისა
მოევითხრო ვრცელი გინება
და ამა ხერხით იქ ჩაჯდა,
საცა არ მოეწყინება.
დღეს ზუბრთა ბანკში ბინადრობს,
ქანქარსა ჰპოებს ბლომათა,
ქორისა გუდა წამოხსნა
გუნიას გასაძღომათა.
თანაც არწმუნებას, ქვეყანას
რომ მსჯელობს მიუდგომლათა,
რომ არ ქნა ესე ქამანდი
კასაში შესაძრომათა.

**პირველი** ეშმაკი რა ხეობელი? **იროდიც**
ქირის ოფლს მოიწურავდა,
ვიდრე „ჭეშმარიტ ქართველთა“
ქულაჯას მოიხურავდა.
მაგრამ რა დაჰგმო „ძველი გზა“
ესდეკებს მოიმდურავდა,
ქანქარიც ბლომათ იშოვნა
ნუნუაშიაც ცურავდა.
ჯერ ზუბრთა მარშალს შეუქვრა
ქანქარის სათხოვნელათა,
და როგორც „საქმე“ ითხოვდა
გააზნაურდა ხელათა*)
შემდეგ ვალიკო გუნიას
მიადგა მოსაწველათა,
„სულიერ მამას,“ იგულვებს
თეატრის გამგებელათა.
აქედან ბანკში ისკუპა,
სადა ქანქარნი ბუდობენ
„მამულის სამსახურისთვის“
ბლომ-ბლომათ გადმოუდობენ,
„გამოსარჩენსაც“ იშოვის
თუ „ძველებრ“ არა ცუდობენ.
(სად თქმულა ბანკი ისეთი
მსახურნი არა ქურდობენ?)
**ვალიკოს** იღბლიანობის
ენა ვერ ბედავს თხრობასა!!
სასწაულია „ღვთიური“
დაგეფიცებით ძმობასა!.
რა შესძლებია! აჰ, აჰ აჰ!
„ესდექთა“ ლანძღვა-გმობასა?
(სულ ყველა ამით ამართლებს
„ათასის“ გადაძრობასა.)
როგორც ქართველთა „მოღვაწეს“
მას ეპატივა სასჯელი...
ჩაფიქრებულა ესტატე
(ისარის გამომსახველი)
გულს კაეშანი გაჰკვრია
სულს უღრღნის სევდა-ნაღველი,
„**ის**“ რო ბნელში ზის, „**ეს**“ არა
ამ სასწაულის მნახველი.

**პირველი და მეორე** (ერთად)
ამგვარათ „ესფერობისთვის“
არის საჭირო პირობა:
სინდისის სრული გაყიდვა,
ქორების არა ძვირობა,
სოციალ-დემოკრატებზე
ველური მონადირობა...
და თუ თქვენც დამეთანხმებით
**შერცხვეს ასეთი გმირობა.**

**ეშმაკი.**

*) ქამელეონსა ამგვარსა
კაცი შეხვდების ძნელათა!

---

# წერილები ეშმაკისადმი.

**გურიიდან.** ძმაო ეშმაკო! თუ შენ გურიას ასე აღებდი ხელს სწორეთ არავის ეგონა! თუ გეშინია სულ-სხვა კითხვაა, მაგრამ ახლა შიშიც იქით უნდა გადადვა და რაც დაგემართოს ერთი ჩამოინავარდო. მათრახიც ახალი იქონიე და „კუდინიც“ მრავალი.

**ვაშნარაში** რომ ამოხვალ, ივ. ნაკაშიძეს შეგხვდები. სულ იქ ზის დუქანთან. ერთი ყანწი „კუდინი“ გადადი მასთან ალავერდით და „რეჩში“ სხვათა შორის უთხარი: რა შენი საქმეა ძმაო იმის დევნა თუ ვინ წავა და წამოვა ციხის-ფერდსა, ან ხვარბეთშითქვა. ყოფილ „რევოლიუციონერ“ ნიტიფოს მარტო კუდინიც არ ეყოფა და ერთი ორი კუდის გაწკაპუნება ხაჭაპურივით შეერგება.

**ოზურგეთში** ცოტა მეტი ხანით დაგჭირდება შეჩერება. ჯერ ყაზარმებთანვე მოიკითხე პავლე ჩ—ლი და დაარიგე თუ როგორ ცუდია მეზობლების შეწუხება. ეს კაცი გზაზე დგას, თორემ პირველი „ვიზიტი“ რასაკვირველია ნიკოს ეკადრება. ცოტა უქეიფოთ არის და ერთი სტაქანი „კუდინი“ ძლიერ მოუხდება. შემდეგ მიხას და ნიკო ქადეიშვილებს მოახსენე: სხვა „სიკეთეც“ გეყოფათ და ეს ჭიჭყინით ნულარ აიკელით ქალაქიათქვა. იქვე ერთი სქელ-სქელი ყმაწვილი რომ შეგხვდება, იმას მარტო „კუდინი“ დაალევინე. უთხარ სულ ლოთობა მავნებელია თქვა.

**მაკვანეთში** უეჭველათ ინახულე კოწია კალანდარიშვილი და მოახსენე: სამარცხვინო საქმისათვის სამარცხვინო ბოძზე მიგაკრავ-თქვა. ვინ იცის იქნებ შენი მოეხათროს ან შეეშინოს. თუ დარიგებამ არავითარი გავლენა არ იქონიოს, მაშინ ერთი ლაზათიანათ უცხუნე მათრახის კუდი და შენ კი...

**ლეხოურისაკენ** გასწიე. შენს მისვლას როგორც შეიტყობს ის. გორდელაძე, მაშინვე სახლიდან თავსა სცვეთავს და ქიბულეთისკენ დაეშ-

ვება. „ცქაფი„კია მაგრამ შენ ხომ ფრთები გაქვს და წამოეწიო თუ არა უცხუნე და უცხუნე. შეიძლება შენ ვერც კი გიცნოს და ცოლის აჩრდილი ეგონო. ყოველ შემთხვევაში ხათრით ნუ მოეკიდები.

ერთ მგზავრობაზე ესეც გეყოფა, მაგრამ გურიას, ძმაო ჩემო, ერთი მგზავრობა არ ეყოფა.

შენი **ალ-ქაჯი**.

—

**აბაშის ნაწილი.**

სადა ხარ, ძმაო ეშმაკო!
უშენოთ ყოფნა გვწყენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა,
ჩამოირბენდე ჩვენსაო.
მოგიყვანთ რაჟდენ რუხაძეს,
მედავითნესა ჩვენსაო
შენ ნუ მოაკლებ მათრახსა
ნურცა კუდინის წვენსაო,
ის ალბათ მოიხსენიებს
გრიგოლს, აბაშის ბერსაო,
კოწიას უკვე ცნობილსა
ხულიგანების წყვრსაო,
მაგრამ შენ მაინც ნუ ზოგავ
შენი მათრახის წვერსაო.

**ალიკო.**

—

**ჯუმათიდან**. ბიძია ეშმაკო! ქვეყანამ ჩვენ მოგვიძულა და ალბათ შენც იმისთვის აგვალე ხელი. მოხუცებს თუ ვერ ეწყობი ჩვენ რაღას გვერჩი პატარებს? რამდენი ხანია სწავლა აღარ გვაქვს. შარშან რის ვაი-ვაგლახით გააორკლასიანეს ჩვენი სკოლა, მაგრამ სმოტრიტელი სულ „ავათ“ გვყავს და მარტო ივანემ რა ქნას? გვიშველე რამე ბიძია, ხომ იცი ახლა კულტურული მუშაობის დროა და ჩვენ კი სკოლის კარები გამოგვიხურეს. ჩვენ მაშინვე ვუთხარით მზრუნველებს: რასა სწერთ იმ ინსპექტორს, მაინც არ გაგიგონებს, ისევ ბიძია ეშმაკს მისწერეთ მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერებს.

მაგიორში ბიძია ჯამულეთისა და მის სიძეს, მელიტონს ძლიერ უჯერიან ოზურგეთში და ქანქარსაც ბლომათ იმასშობიან, ნაიმასქნარი კაცების გამოიმასქნაში. მაგენს ნუ გააწბილებ შენი ქირიმე თითო მათრახი, კუდზე, რადგან მეტის ღირსიც არიან.

თუ ღირსი არ არიან კითხე ერასტი მარჩიელს. ეს ისეთი დამსახურებული კაცია, რომ ვიცი ერთ კუპრიელ „კუდინსაც“ უთავაზებ.

გარდა ამისა საყვარელო ბიძია, ერთი ჯუმათის მონასტერშიაც შეიარე. ეშმაკობის ფიქრი ნუ გაქვს ანგელოზს არ იღებენ, თორემ ეშმაკს უარს ვინ ეტყვის. წმინდა მამა გერასიმე რამდენი ხანია აქედან საიქიოს გადაბრძანდა დაჩაზე და ვერ წარმოიდგენ რამდენი ნივთები წაუღია თან! თურმე ხუთი წელიწადია რაც აგზავნიდა ვერცხლის ჭურჭლეულობას მონასტრიდან საიქიოს დაჩაზე. წარმოიდგინე ერთი მონასტრის სახლიც კი გაუმგზავრებია.

გარდა ამისა ვინ იცის კიდევ რამდენ რამეს ნახავ იმ დალოცვილ სახლში და იქაურების პატივიც შენ იცი.

შენი **მელია.**

—

**სოფ. აბაშა.**

მამასახლისი გაცხარდა
წინეთაც თავ-რეტიანი,
გთხოვთ მოუვლინოთ საჩქაროთ
„კუდინი“ ათ წვეთიანი.
მწერალიც გაიიმასქნა
რადგან შემცირდა „შტრაფები“,
თუ ძმა ხარ გამოუგზავნე
მასაც კუდინის „ყლაპები“.
მარტო მღვდლებს უდგათ ზეიმი,
რაკი მიიღეს დრამები
და გთხოვთ გაჩოთქო, ეშმაკო,
ეგ სულიერი მამები.
ცოფებსა აფრქვეს პირთაგან
ჩვენი დალაქი კირილე..,
ორმოცი წვეთი მიართვი
ეშმაკო, შენი ჭირიმე.

**ტუზი.**

—

**სოფ. ჭალა.** (გურია) ეშმაკო! არას მამაო ჩვენობით არ შეიძლება თუნდაც ერთი საათით ჭალა არ ინახულო. საქმე იმაშია, რომ კოწია შაფაქიძე დაჟინებით გთხოვს ერთ მწვავე მათრახის კუდსა თუ ძმა ხარ ნუ გააწბილებ. თუ საჭირო იქნება მთელი სოფელი დაუდგება თავდებათ და მის თხოვნას დაამოწმებს.

რუბენ გოგიტიძეს ხომ მოწმობაც აღარ სჭირია. კარგი ხანია იმან სოფელს შეაფურთხა მხრები აიჭრელა. ამ წინაზე ვიღაც ტყეში მიმავალ მუშებს დაუხვდა და იჭერდა: შენს დასაჭერათ სამასი მანეთია გადაზდებულიო. მუშებმა თავი გაინთავისუფლეს, მაგრამ გთხოვენ სამასი მათრახის კუდი და სამასიოდე წვეთი „კუდინი“ მიულოცო მათ მაგიერ პატივცემულ რუბენს.

**უკუღმართი.**

—

**ჩხორუწყუ.** (სამეგრელო). ძმაო ეშმაკო! რაც უნდა ბევრი გელაპარაკო ჩვენი გვადას შესახებ სრულად ვერ დაგიხატავ მის „სპეტაკ‘ პიროვნებას. დაბადებიდან სულ მამასახლისათ არის, მხოლოდ ერთობის დროს იყო მიმალული.

საქმეთა მისთა გასაცნობათ უმჯობესია თითონ ჩამოინავარდო, მაგრამ აი რას გირჩევ. ჩუმათ ჩამოიპარე და ხმა დაჰყარე ქურდი ვარ თქვა. ქურდებისთვის სრული თავისუფლებაა ჩვენში და კაცი ხელს არ გახლებს. ამ სახით შენ გაიგებ გვადას გამოსარჩენის წყაროთა მიმდინარეობს. მათრახი საჭირო იქნება.

შენი **ლეონიდი**.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჭიათურა.** ძმაო! სირცხვილი კია ჭიათურის ასე მივიწყება. კარგათ მყოფები თუ არ გენანება ავათმყოფებს რას ერჩი? უთუოდ უნდა ჩამოხვიდე და ჰკითხო ერმილე თაყაიშვილს, რატომ არ უმზადებ ავათმყოფებს იმ საჭმელს, რომელსაც ექიმი უწერს თქვა. იმედია სიმართლეს დამალავს და შენც ერთი კუდი გაჰკარი.

კოწია კაკაბაძეს, თუგინდა, ნურაფერს ნუ ეტყვი პანასეევის სამუშაოზე მუშათა შორის აღლუმის მოხდენისათვის.

**კაკილა.**

—

**ბაქო.** ძმაო ეშმაკო! ბაქოს ქალები დაჟინებით გთხოვენ ერთი მცირე ხნით მაინც ჩამოხვიდე და „ვეჩერების“ გამართვაში დაეხმარო. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ყოველ დღე „ვეჩერის“ მართვა და ხალხის გაიმასქნა.

ჩამოსვლისთანავე ბაგაევის ეზოში უნდა შეხვიდე, რადგან იქ იმართება ვეჩერები, მაგრამ კასირშასთან ძლიერ ფრთხილათ იყავი, თორემ უკანასკნელი რომ ვთქვათ ორი თუმანი ისე გაგიფრინდება ხელიდან ვერც-კი შეიტყო. „ვეჩერების“ ანგარიშის მოთხოვის შემდეგ; ყველა ხელმძღვანელებს შენი „კუდინი“ დაალევინე ენერგიის მოსამატებლათ და საითაც გენებოთ მიბრძანდით.

**კოდარა.**

—

**თფილისიდან.** ძმაო ეშმაკო!

პავლე ბარქია, პატრონი
სასტუმრო-ბუფეტ „სვეტისა“,
ღირსია მენდე-მერწმუნე
„კუდინის“ სითხე წვეთისა.—
,,ჭეშმარიტ‘‘ ხაზეინთ-შორის
ძვირია მისი ბადალი
ნუ დარდობ ,,კუდინთან‘‘ ერთათ
მათრახის კუდიც გაკარი,
თორემ აღარ ვართ ძმობილო
დღე დაგვაყენა საზარი
ნამუსზე მწყრალათ ბრძანდება
შუბლი აქვს მეტათ მაგარი.

**მოსამსახურე.**

—

**სამტრედიის რაიონიდან.** ძმაო ეშმაკო! სამათრახო პირები ისე გამრავლდენ ამ ,,თავისუფლების‘‘ ხანაში, რომ თუ დროზე არ მივაშველეთ თქვენი მათრახი და უებარი წამალი ,,სპერმაკუდინი‘‘ გვიანღა იქნება. ამისთვის გთხოვ, ძმაო ეშმაკო, წერილის მიღებისთანავე გამოფრინდე და ერთი ძველებურათ გამოაღვიძო აქაურობა.

კლიენტები რომ საძებრათ არ გაგიხდენ მე ვეცდები მიუდგომლათ გაგაცნო აქაური ,,მოღვაწეები‘‘. მოსე სტურუას, (ქალაქის თავი) რადგან ძლიერ სუსტათ გრძნობს თავს, საექიმოთ ქალაქის ქანქარს იმას უშვება და ამან სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ამის გამო კრამოლნიკებთან ბრძოლა უძნელდება და გთხოვთ 59 წვეთი ,,კუდინისა‘‘ მიუძღვნა.

ამის შემდეგ საჭილაოს ,,პლატფორმა‘‘ზედ უნდა წამოხვიდე იაშკა პეტრენკოსთან. გზაში ნაჩხეტაურის მღვდელთან გაივლით. ეს მოძღვარი საზოგადოებას დაპირდა: ,,მთავრობის შესახედავათ გადაიხადეთ ,,დრამის‘‘ ფულები და მე როცა ხაზინა გადმომცემს ისევ თქვენ დაგიბრუნებთო‘‘. მამა გიორგიმ ეს ფულები კეთილათ შეიტყემლისკვერა. ოინბაზობისთვის 37 წვეთი ,,კუდინისა‘‘ მიაღებიე.

არ ინდობენ, ბრალიანსა და უბრალოს ყველას ამათრახებენ, პოლიციაში მიერეკებიან ,,ახალთაობის‘‘ კაცებს. ვისაც ქანქარი აღმოაჩნდება 16 ან ჩვიდმეტმანეთ-ნახევარი, ანთავისუფლებენ. ძვირფასი სამსახურისათვის იაშკა „პროვიტელსტვენი სტარშინობას“ თხოვს მაზრის უფროსს და კარგ გუნებაზე იქნება, თორემ ვაი ჩვენი ბრალი. ერთობის კაცათ მიგვიჩნევდა და 20 ქანქარი არ გეყოფოდა.

—

**ს. მათხოჯიდან.** (ქუთაისის მაზრა). მათრახიანო ეშმაკო! პირველათ მოკითხვას მოგახსენებ, ჩვენ გახლავართ ასე გვარიანათ ღთისა და თქვენის იმედით: ყველა გაუჭივრებლათ ვცხოვრობთ, მხოლოთ სიმინდი ამ ორ დღეში დაგველევა და ძერმე შიმშილობის მოსაკლავათ „რიკე-ტაფეთ“ გვინდა თავის შექცევა, ეს ერთი.

**მეორე:** საშინელი კარტის თამაში გვაქვს გახურებული დუქნებზე და უკანასკნელ გროშსაც იქ ვაგებთ.

**მესამე:** ვიღაც ორი „ბარიშნა“ ეწვია ჩვენს სოფელს და „სკოლები“ გაალეს. ერთი ქარგვას ასწავლის, მეორე კიდევ რაღაც მამაძაღლობას:

**მეოთხე:** ჩვენი სამრევლო სკოლის მასწავლებელი ერთობ „ჭახრაკა“ ბიჭი გამოდგა. გიმნაზიის გასათავებელ ეგზამენის დასაჭერათ ბიჭები აიყვანა და ყველას პირობით ეკვრის: თუ მერვეში დაგაჭერიო, 400 მანეთი, მომეცი და თუ მესამეში 200-ო. ჩვენ უფრო სხვა „ფოკუსს“ იზამდა გვეგონა, თვარა ამისთანას რაჟდენა ჩიმაკაძე და ბესარიონ დოჭვირიც კი „მოახერხებდა“. ნეტავი ისენი დაენიშნა აქ თედოს მასწავლებლათ. მახლას, რომ ვერ გაჭრა ნიკიფორა ხუცის რეკომენდაციამ!

**მეხუთე:** კასიონა მელაძის გადაკარგვით ერთობ გახარებული არიან ჩვენი სოფლის „ჭკუის კოლოფები“, განსაკუთრებით ფოთში მუშების ტყავებით ქონდადებული ალექსი ბუჭუოვიჩი.

მართლა ფოთის მუშები მომაგონდა და მეცხრე ამბავათ იმათ ამბავსაც შეგატყობინებ: მოგეხსენებათ ფოთში არტელია, ამ არტელში მათხოჯელი მუშებიც არიან. ზოგიერთი მათგანი ერთ დროს „ერთობის“ კაცი იყო, ეხლა კი ცოტა ქონმოდებულია და ფოთში ნაიმასქნარ საქონელს აქ ასაღებს. გარდა ამისა თავიანთ ადგილებითაც ვაჭრობენ, მაგ. ერთმა აქაურმა მუშამ არტელს თავი დაანება და თავისი ადგილი რვა თუმნათ გაყიდა.

მეტი რაღა თავი შეგაწყინო ჩემო ეშმაკო. მე ამბები შეგატყობინე და აწი შენ იცი „კუდინს“ გამოგზავნი, თუ მათრახით აუცხუნებ ზურგებს.

შენი მოსიყვარულე **ცხვირა.**




„ნევის ფარსის“ წარმოდგენებზე.

### ფ ა რ ს ი.

აი სცენა, ზედ მხევალი
სამოსლისგან გაძარცული,
და თფილისის „მოქალაქე“
უჭვრეტს სურათს თავ-წარგული.

---

### დედის სიმღერა.

მწარე აწმყოვ, სიმწარითა
ნაშობი და გამოზრდილი
ჭკა მებრძოლი მოგიძღვენი
ჩემი ჭირმშო, ჩემი შვილი.

საცოდავი მამამისი
მძიმე შრომამ მოიკლა,
ეგ ძუძუზე დამიტოვა,
გამამწარა, გამაშხამა!

ახლის თვსი რომ არ მქონდა,
ვაფარებდი კონკა ძველსა,
დამით გულში ვიხუტებდი
ჩემს პაწია საყვარელსა.

ბევრჯერ საწყალს ზამთრის ღამე
„თეთრად გამითენებია“:
თვით მცივოდა და ტანსაცმით
მაგი ჩამითბუნებია;

ხშირად ხოლმე მშიერ კუჭზე
შრომის ოფლი დამიღვრია
და ნაშრომით თვით ვკლავ მშიერს
ისევ მაგი გამიძღია.

ამნაირი წვა და დაგვით
ეგ ვაჟკაცი გამოვზარდე
და ცხოვრებავ, შენ მოგიძღვნი!
შეითვისე, თუ გიყვარდე!

ვიცი, ბევრი ჩემისთანა
ქვეყანაზე დღესაც არი,
მათი ხვედრი სისაწყლეა,
წვა-დაგვა და ოფლის ღვარი;

ისიც ვიცი, რომ ჩემი ძე
იმათ გამოესარჩლება
და ამ საქმეს მთლათ შესწირავს,
რაც ღონე აქვს და შეძლება!

აწმყო წესსა ცხოვრებისას
ტანჯულნი რომ შეებრძვიან,
და დიადი მომავლისთვის,
პატიოსან სისხლს დაღვრიან,

მაშვინ ჩემი გმირი შვილიც
მათთან ერთად მხნედ დადგება
და მათთანვე დაიძახებს:
„სიკვდილი, ან გამარჯვება!..“

ამით იგი გადაიხდის
საამქვეყნო თავის ვალსა
და გმირული მკლავით გასჭედს
სანეტარო მომავალსა.

მწარე აწმყოვ, სიმწარითა
ნაშობი და გამოზრდილი
აი, შვილი მოგიძღვენი!
მებრძოლია გამოცდილი!

ნ. ზომლეთელი.

## სცენა ფოთის საპატიმროში.

**მოქცეულთ ხაბურზანიას** მიერ გაფიცვისთვის დაპატიმრებულები, მარგანეცის 5 მუშა, რამოდენიმე ქართველი და ერთიც სომეხი ჭინჩაკისტი. შემოდის პოლიცმეისტერი და ეკითხება ქართველ მუშებს თუ რისთვის დაიჭირეს. ისინიც შესაფერ პასუხს აძლევენ. შემდეგ მიუბრუნდება ჭინჩაკისტს.

**პოლიცმეისტერი.** შენ რიდასთვის დაგიჭირეს?

**ჭინჩაკისტი:** აბა რა ვიცი ბ-ნო, მე ხომ მაგათი ამხანაგი არა ვარ, რომ მაგათთან დამიჭირეს; ღმერთი რჯული გაფიცვაში მონაწილეობა არ მიმიღია, მხოლოდ ბრალი ისა მაქვს რომ ქართველები მოსულან ჩემთან და ჩემი თავი თარჯიმანათ წაუღიათ რადა სომხებთან, მეტი არაფერი ბრალი არა მაქვს ბ-ნო მე მაგათთან საერთო არა მაქვს-რა!

მეორე დღეს ისევ შემოდის პოლიცმეისტერი და ქართველებს ეუბნება: თქვენ დღეს ან ხვალ გაგიშვებთ, მაგრამ უფრთხილდით რომ ნაკლები ილაპარაკოთ. წამოვარდება თავზარ-დაცემული ჭინჩაკისტი და ეუბნება: ვა, ბ-ნო განა მე არ გამიშვებთ?

**პოლიცმეისტერი.** შენი ვინაობა და მოქმედება ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული.

**ჭინჩაკისტი.** ბ-ნო რას ბრძანებთ, როგორ თუ გამორკვეული არ არის, ღმერთი რჯული, მეც მაგათი ამხანაგი ვარ, ჩვენ ერთათ ვიყავით საქმეში და ერთადაც დაგვიჭირეს, ჩვენი ლხინიც და ჭირიც ერთია, განა ჩვენი დაშორება შეიძლება? ვა, ჩვენი საქმე მთელმა მუშებმა იციან, ვისაც გინდა ჰკითხეთ; ჩვენ ერთნი ვართ!

**პოლიცმეისტერი:** მაშ კარგი რახან აგრეა გამოვიძიებთ და პასუხს გაცნობებთ. გადის.

**შავ-თვალა**



## ლანჩხუთის ვაჭართა შორის.

ერისტომ უთხრა სილოვანს:
„პავლიამ შეგვაცდინაო,
კვირის ვაჭრობაც გაგვიშპა
ტყუილათ შეგვარცხვინაო.
წყეულიც იყოს მარადის
ეგ ჯიბგირი და ქურდიო
სულ ყველას როგორ ენდობა
ვისაც ახურავს ქუდიო“.

სილოვან ეტყვის: „რა ვიცი“
ერისტო, ჩემო ძამია,
დავბერდი მარა ასეთი
სირცხვილი არ მიჭამია.
ვხედავ გამაგრდენ ნოქრები
ამან მომიკლა გულიო;
ოხერი ახალ თაობა
მეგონა დამარხულიო.
პავლიამ მაშინ დაგდუპა
ნოქარს რომ მოუცხუნაო
აწი კი ყველა მივხთებით
ზრუგზედ რომ მოგვეცხუნაო.
მარა რაც მოხდა, წავიდა,
აწი ვისწავლოთ ჭკუაო
თავს დააბრალოს ყველამა
სიაბდლით რაც მოუვაო.

**შხანკოლა.**



ტოლსტოი და პურიშკევიჩი.

**პურიშკევიჩი.** ჩვენ როგორც დიდებულ სახელმწიფო მოღვაწეებს, სადა გვ ცალიან ისეთი უმნიშვნელო საქმეებისათვის, როგორიც ტოლსტოის დღესასწაულია!

## რკინის გზის მთავარი სახელოსნო.

ძმაო ეშმაკო! გაიგე
ჩხუბი რომ მოხდა ტოკარში?
მაშ მოგახსენებ, გენაცვა,
თუ რამ ასტეხა განგაში.
მას შემდეგ, მათრახის კუდის
რაც შემოვიდეთ ხმარება,
ის „სათაყვანო აკორდი“
ბევრს ადარ გაეხარება.
ბევრმა იჩხრიკა უურები,
გამოიფშვნიტა თვალები...
ნიკოც ამ ჭკუას დაადგა
„კუდინით“ დანამთვრალები.
წინეთ თუ არვის იდებდა,
დღეს გამოუჩნდა ადგილი,
მაგრამ შერჩევა დაიწყო
(სურს „ამხანაგი“ ნამდვილი.)
კანდიდატები გამოჩდენ
ერთის სანაცვლოთ სამია,
მაგრამ რას ფიქრობს ნიკოი,—
ამას ვინ იტყვის ძმია?!
—მე მივიღებ იმ სამ კაცში
მცირე ჯამაგირიანსო
და რას მირჩევს, ეხლავ ვკითხავ
ჩემს მეგობარს ივლიანსო.
ამ დროს თვალწინ აეტუზა
ჩვენი სამსონ ჩილინგარი,
და ვასოს მიღება სთხოვა
თუმც მიიღო ცივი ვარი.
ამან ეს სთქვა, იმან ისა
ჩხუბი გაიმართა მთელი,
და ერთმანეთს დაუზილეს
მხარ-თეძო-გვერდ-საფეთქელი.
ახლა შენ გთხოვთ, ჩვენო ეშმაკ!
მოახდინო შენი სუდი
და დაბეჟილ ადგილებზე
მათრახისა გაჭკრა კუდი.

ალ. ზაგლობა.

---

## ნიკოლაძე და ზდანოვიჩი.

ნიკოლაძემ ფოთისთვის ითხოვა საფუთო გადასახადი, სამინისტროც თანაგრძნობით შეხვდა. ეს შეუტყვია შავი ქვის მეფეს გიორგი ზდანოვიჩს და კომპ. ამხედრებულა ნიკოლაძის წინაალმდეგ და მოუქუსლავს პიტერში. ზდანოვიჩი მეცადინობს არ მიეცეს ნიკოლაძეს შავი ქვისაგან არაფერი. როცა ეს გაიგეს ფოთელმა ბერძნებმა, რომელთაც დიდი წარმოება აქვთ ჭიათურაში, ადგენ და სამინისტროში დეპეშა აფრინეს: „ჭიათურის შავი ქვის დიდი უმეტესი წარმოება გვეკუთვნის ჩვენ, ჩვენ თანხმა ვართ გავიღოთ საფუთო გადასახადი. არ ვიცით რას ეჩხირებიან ზდანოვიჩი და აბაშიძე''. ვნახოთ რითი დაბოლოვდება ნიკობურგის და ყორყიკბურგის დატაკება. ისე კი ვფიქრობთ რომ ,,კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება''.

ავ-ყია.



## მესტვირული

(ბათუმისათვის)

ამიტყდა ამიყაყანდა
ცოდვილი ქვეყნის პირია,—
ვისაც სწვდა „კუდის“ ნაწყვეტი
სულ ყველა გადაირია,
(მტყუანს, რომ ზურგი ეწოდეს),
(ან კი რა გასაკვირია)
ვისმინე ბრიყვთა მუქარა
და ლანძლვა ხშირზე-ხშირია
(ვინ გასჭედს ბრიყვის ლაგამსა!?!?
ასემც ქნას—სულ უყვირია.)
გარდამხდა გარდასავალი,—
უმართებულო ჭირია
(ნუ გიკვირს ჩვენში ამგვარი..
—შავი ზღვის განაპირია.)
მარა არ დავდობ ქაჲ ნჩას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შემხვდეს გასაჭირია;
მუქარამ გამაკაჟრკინა,
ვითა კლდე, ქვითკირია.
ძველი მესტვირე გახლავარ
ქამანჩაც ხელში მჭირია,—
ვატარებ გუდას ქებულსა,
ზედ მაქვს მობმული სტვირია.
კიდევ დაუკარ ქამანჩავ..
ჰარალი, ჰერი—ჰერიო,
საკვირაშკოლო სექციამ
ჯერ ვერ ქნა ვერაფერიო;
სამი თვე არის ლიღინობს
დრო კი დახარჯა ბევრიო,—
ალთას და ბალთას მიდიან
არიეს მონასტერიო.
შევუჭიტინე მათ კრებას,
იყვირეს: აჰა, მტერიო?..
შემოჩენილი იქნება,
„კუდინის“ აძევს ფერიო.
ქურდულათ შემოგვპარვია
მესტვირე, ეგ ოხერიო
(სწორეთ ამათზე ითქმება,—
ნაცარს ადინეს მტვერიო.)
დამიცაცხანეს: „მოგვშორდი,
აქედან გაეთერიო!“
იმდენი მხდალი არა ვარ
მუქარს შევიფერიო
და მივაძახე ზოგ მათგანს:
(რომ უცებ მოვიგერიო)
მისთვის გიახელ, გიცხუნო
ზურგზე მათრახის წვერიო!
მაქ ცოდნა არის საჭირო,
საქმისა შესაფერიო
და არა ენის ტრიალი,
არც მუშტი მოსალერიო,
არცა უმანკო მანკობა,
არც კაბა შესაკერიო.
თქვენისთანებზე ითქმება,—
„სად თეკლე, სად ეთერიო!“
განდიდებისთვის გჭირიათ
საქმეში ტყვილათ ერიო?

**ბლიკვაძე.**



# ეფისკოპოზის სიზმარი.

(გაგრძელება. იხ. „ეშმ. მათრ.“ № 22)

**ეფისკოპოზი.** (თავისთვის) სიწმინდე სარწმუნოებისა მტკიცეთ უნდა იყოს დაცული. სარწმუნოება საფუძველია ხალხის კეთილდღეობისა. სარწმუნოების საფუძველს ღვთის შიში და მოკრძალება შეადგენს. ზოგიერთი მღვდლები კი ამ საფუძველს არყევენ; განსაკუთრებით კი სემინარიაში განათლებულნი. ეეხ, (ხელს ჩააქნევს). სამწუხაროთ დღევანდელი განათლება სულ ეშმაკისაკენ არის მიმართული. (ფიქრის შემდეგ) გამრავლდენ ღვთის უარმყოფელნი, ეკლესიის უარმყოფელნი, სულისა და საიქიოს უარმყოფელნი. (ხელებს მაღლა ააპყრობს) ღმერთო დიდებულო, ღმერთო ძლიერო, ცისა და ქვეყნის ხელთა მპყრობელო, შენ მოუვლინე მრისხანება შენი წარმათთა ამათ და დაანახვე მათ ძლიერება შენი. (ფიქრის შემდეგ) უნდა ზომები მივიღოთ, სასტიკი ზომები, რომ სემინარიაში არც ერთმა საერო წიგნმა, არც ერთმა გაზეთმა არ გაიპაპანოს და იქნება ამით მაინც ვიხსნათ მომავალი მღვდელნი წარმართთა გავლენისაგან. (კარი გაიღება, შემოვლენ თავადი დურმიშხანი და სილოვანი. დურმიშხანი მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლია და ამიტომ მილიციის პრაპორშჩიკიც არის, რასაკვირველია; სილოვანი კი მასწავლებელია სემინარიისა. თავს დაუკრავენ ეფისკოპოზს).

**დურმიშხანი.** ყოვლად სამღვდელოს დილამშვიდობისა (ხელზე ჰკოცნის. სილოვანიც ხელზე ჰკოცნის).

**ეფისკოპოზი.** დაბრძანდით თავადო დურმიშხან, დაბრძანდით სილოვან! (დასხდებიან).

**დურმიშხანი.** ბოდიშს ვიხთით, ყოვლად სამღვდელო, რომ გაწუხებთ; ჩვენს მეტი სხვაც ბევრი გყავთ შემაწუხებელი; მაგრამ ღვთისა, ხელმწიფისა და სამშობლოს ერთგულება, სამსახური და სიყვარული გვავალებს და გვაიძულებს, რომ შეგაწუხოთ.

**ეფისკოპოზი.** რატომ ბრძანებთ მაგას, თავადო დურმიშხან, რატომ, ჩემი სადგომის კარი მუდამ ღია არის ყველასათვის და მით უმეტეს თქვენთვის.

**სილოვანი.** (ხან დურმიშხანს მიჩერებია და ხან ეფისკოპოზს) ყოვლად სამღვდელოს ჩვენზე ნაკლებ არ შესტკივა გული სამშობლოსათვის.

**დურმიშხანი.** ჩვენზე უფრო, ბ-ნო სილოვან, ჩვენზე უფრო! ჩვენ სად შეგვიძლია იმდენი სარგებლობა მოვუტანოთ ჩვენს სამშობლოს, რამდენიც ყოვლად სამღვდელოს შეუძლია!

**ეფისკოპოზი.** ჩემი სიცოცხლე, ჩემი ამ ქვეყ-

ნიური ბედნიერება უფალსა და სამშობლოს შევწირე. ღვთის შიშმა და სამშობლოს სიყვარულმა შთამაგონეს ბერათ აღკვეცა. სულიწმიდა მაგონებდა, რომ ამ გზით მე უფრო ვემსახურებოდი როგორც უფალს, ისე სამშობლოს, და არც შევმცდარვარ: სიწმინდეს სარწმუნოებისას მტკიცეთ ვიცავ და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ჭეშმარიტ მოძღვრებას ხალხში ვავრცელებ.

**სილოვანი.** ხალხს ძალიან ბევრი მტერი ყავს, ყოვლად სამღვდელო და იგინი გვეღობებიან წინ როგორც ჩვენ, ისე თქვენ.

**დურმიშხანი.** და უპირველესი მტერი ჩვენი ხალხისა არის სოციალ დემოკრატია.

**სილოვანი.** სწორეთ ეს უნდა მეთქვა მეც. სოციალ-დემოკრატები იმისთანა მტერია ჩვენი სამშობლოსი, ჩვენი კულტურისა, რომლის მგზავსიც ჩვენმა ისტორიამ არ იცის. ამ მტერთან საჭიროა სასტიკი ბრძოლა ყოველგვარის საშუალებით.

**ეპისკოპოზი.** მე სრულიად გეთანხმები. თუ ჩვენ როგორმე სოციალ-დემოკრატები არ მოვსპეთ, არ გავანადგურეთ, ისინი გაანადგურებენ სარწმუნოებას და მაშინ სამშობლოც განადგურდება.

**დურმიშხანი.** გარწმუნებთ, რომ რეაქციამ ჩვენს სამშობლოს დიდი სარგებლობა მოუტანა, ძალიან დიდი. მთავრობამ ჩვენი სამშობლო დაღუპვისაგან იხსნა. წარმოიდგინეთ, რომ მთავრობა მართლაც დამარცხებულიყო. მერე რა მოხდებოდა? ბიჭ-ბუჭები, მაწანწალები, ქურდები, ავაზაკები, ყაჩაღები—ერთის სიტყვით სოციალ-დემოკრატები გაბატონდებოდენ და მთლათ გაანადგურებდენ ჩვენს ქვეყანას.

**სილოვანი.** ახლაც გაანადგურებენ, ახლაც, თუ ყველამ თვალები არ გავახილეთ. ჩემის ფიქრით*) რეაქციამ ჩვენს სამშობლოს დიდი ზარალი დაატეხა თავს, მაგრამ სოციალ-დემოკრატების ბატონობა კი მოსპო და ამით დიდი, ძალიან დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ხალხს. ამ სარგებლობას რომ ზარალს ვუდარებ უნდა გამოვტყდე, რომ სარგებლობა ბევრით მეტია. სოფელი ისევ აშენდება, აშენდება დაბა, ქალაქიც, თუ კი ერი ცოცხალია, მაგრამ რაკი ერი მოისპობა, მოკვდება, ის ველარასფერს ველარააშენებს.

**დურმიშხანი.** დიდებული აზრია, დიდებული!

**ეპისკოპოზი.** ღრმა მეცნიერული აწონ-დაწონვაა ჩვენი ცხოვრებისა.

**სილოვანი.** (უფრო თამამათ) ჩემის ფიქრით, ორი იმდენი რომ გადაეწვა და დაექცია რეაქციას,

*) სილოვანის „ფიქრებს“ ვინ არ იცნობს.
ეშმაკი.

რაც გადაწვა და დააქცია და სამაგიეროთ სოციალ-დემოკრატები ჩვენში მთლათ მოესპო, მოესრისა, მადლობის მეტი არაფერი არ გვეთქმოდა.

**დურმიშხანი.** ) (ერთად) სრული ჭეშმარიტე-
**ეპისკოპოზი.**) ბაა, სრული ჭეშმარიტება.

**სილოვანი.** (განაგრძობს) სამწუხაროთ ისინი დარჩენ ჩვენში ძველებურათ და ძველებურათვე განაგრძობენ ქვეყნის გამანადგურებელ მოქმედებას. ბრძოლა უნდა, სასტიკი ბრძოლა.

**დურმიშხანი.** (ეპისკოპოზს) და თქვენ, თქვენო მეუფეავ, უნდა დაგვეხმაროთ ამ ბრძოლაში.

**ეპისკოპოზი.** (ხელ აპყრობილი) ყოველ დღე ხელ-აპყრობილი და მუხლ-მოდრეკილი ვკრულავ მათ და უფალსა ჩვენსა მათ განადგურებას ვევედრები.

**სილოვანი.** ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, ყოვლად სამღვდელო, რომ თქვენს ლოცვა-კურთხევას არ მოაკლებთ ჩვენს ქვეყანას და წყევლა-შეჩვენებას მის მტრებს, მაგრამ ჩვენ სხვა გზითაც გვინდა თქვენი დახმარება.

**ეპისკოპოზი.** რაც კი შემიძლია დიდის სიამოვნებით, მხოლოთ ისე, რომ ეს არ გამოაშკარავდეს, თორემ გარდა იმისა, რომ უშვერი ლანძღვაგინება იციან იმ ეშმაკის ნაბიჭვრებმა, ამიტეხენ რასმე.

**დურმიშხანი.** (იცინის) ეშმაკის ნაბიჭვრები! ხა,ხა,ხა,ხა! საუცხოვო დახასიათებაა, საუცხოვო! ეშმაკის ნაბიჭვრები! ხა,ხა,ხა,ხა!

**სილოვანი.** ლანძღვა-გინების მეტი აბა რა უნდა მოვთხოვოთ იმ უსინიდისოებს, ყოვლად მყრალებს, ყაჩაღებსა და საზიზღარ, საძაგელ უტვინოებს! (პაუზა) თქვენგან აი რა დახმარება გვჭირდება, ყოვლად სამღვდელო! ეპარქიალურ სასწავლებელში მე აღმოვაჩინე ორი მასწავლებელი სოც.-დემოკრატი.

**ეპისკოპოზი.** (გაკვირვებული) ეპარქიალურ სასწავლებელში სოციალ-დემოკრატი მასწავლებელი!!

**დურმიშხანი.** დიაღ დიაღ, ყოვლად სამღვდელო!

**სილოვანი.** მასწავლებელი კი არა, ყოვლად სამღვდელო, მასწავლებლები! ერთი კი არა, ორი, ყოვლად სამღვდელო, ორი! (ორ თითს მაღლა ასწევს).

**ეპისკოპოზი.** საიდან შეჭყვეს იმ უწმინდურებმა იქ თავი! საიდან?

**სილოვანი.** თუ თქვენ არაფერი არ გექნებათ ამის წინააღმდეგი, უსათუოთ უნდა მოვიშოროთ ისინი თავიდან და მოვიშოროთ, რაც შეიძლება მალე.

**ეპისკოპოზი.** რომლები არიან ეგ უწმინდურები?

**სილოვანი.** ჩალაძე და ბლიაშვილი, ყოვლად სამღვდელო!

**ეფისკოპოზი.** ახლავე უნდა დავათხოვნინო ორივე, ახლავე!

**დურმიშხანი.** თუ თქვენ ნებას დაგვრთავთ, ყოვლად სამღვდელო, ჩვენ ეს საქმე კარგათა გვაქვს მოფიქრებული და გამოწყობილი.

**სილოვანი.** მარტო დათხოვნა არა კმარა, ყოვლად სამღვდელო! საჭიროა, რომ ჩვენი ნვეყანა გავსწმინდოთ ამ უწმინდურთაგან.

**ეფისკოპოზი.** საუცხოვო აზრია, მაგრამ როგორ მოვახერხოთ?

**დურმიშხანი.** სულ ადვილათ. ხვალვე ერთს ჩავუფუჩრულებ და ოცდა ოთხ საათში გააქრობენ აქედან ორივეს.

**ეპისკოპოზი.** (ღიმილით) ჩინებული აზრია, ჩინებული.

**დურმიშხანი.** თქვენდა დავუკითხავათ ვერ გავბედეთ, ყოვლად სამღვდელო! სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები არიან და თქვენი ნებართვა ჩვენთვის საჭირო იყო.

**ეფისკოპოზი.** მე დიდ, ძალიან დიდ მადლობას გიცხადებთ ამ გვარი უანგარო და პატიოსანი მოღვაწეობისთვის.

**სილოვანი.** მე მიზნათა მაქვს, გამოვიძიო, არიან თუ არა სადმე ჩვენს სასწავლებლებში სოც.-დემოკრატი მასწავლებლები. როცა ჩემს გამოძიებას დავამთავრებ და ფაქტები ხელ'ში მექნება, სულ ყველას უნდა აუგოთ ანდერძი, სულ ყველას.

**ეფისკოპოზი.** დიახაც, დიახაც, ბატონო სილოვან! ჩვენი ახალთაობა თანდათან ირყვნება; ღვთის შიში აღარა აქვს, მთავრობის სიყვარული, უფროსების პატივისცემა. და თუ აღზრდის საქმე თქვენისთანა სპეტაკი მიმართულებისა და დიადი ბუნების მამულიშვილთ არ ჩავაბარეთ, ჩვენი ერი დაიღუპება, გადაშენდება. (დურმიშხანი და სილოვანი ადგებიან).

**დურმიშხანი.** აწი კი დროა, რომ მოგასვენოთ, ყოვლად სამღვდელო! (ხელზე კოცნიან) ხვალ მე იმასა ვნახამ და ზეგ თქვენი მასწავლებლები ჩვენს ქალაქში აღარ იქნებიან! (იცინიან)

**ეფისკოპოზი.** ემსახურეთ სამშობლოს და უფალი არ დაივიწყებს თქვენს სამსახურს. (თავს უკრავენ და გადიან; ეფისკოპოზი მაგიდასთან დაჯდება) ზეგ მე მწირველი ვარ. უეჭველათ ქადაგება უნდა წარმოვსთქვა. (ხელებზე თავს დააყრდნობს და ჩაფიქრებულია რამოდენიმე ხანს) სულო წმინდაო! იყავ ჩემთანა. მომეც მე ნიჭი და მჭერმეტყველება, რათა ვასწავლო ხალხს შიში და კრძალვა ღვთისა, მორჩილება მთავრობისა და რიდი და პატივისცემა უფროსებისა. (ქაღალდს ამოიღებს, კალამს აიღებს და სწერს, თან ხმა მაღლა გამოთქვამს თავის აზრებს) ძმანო ქრისტიანენო! ნუ იუნჯებთ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა. იუნჯებდეთ საუნჯეთა ცათაშინა, სიტყვა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. რას ნიშნავენ ესე ღვთაებრივი სიტყვები! ქრისტე მაცხოვარი ჩვენი ამაოთი გვასწავლის, ძმანო ქრისტიანენო, რომ ამა ქვეყნიური ყოველივე უქმი და წარმავალია, რისა გამო ამა ქვეყნიური ცხოვრებისათვის ზრუნვა ამაოა, ამაოსა ზედა! ყურადღებანი თქვენნი ჯერ არს მიაპყროთ საიქაო ცხოვრებასა რათა ქვეყნიურით სატანჯველითა დაიმკვიდროთ სასუფეველი ცათა. ნუ ზრუნავთ ხორცისათვის, ძმანო ქრისტიანენო, რამეთუ ხორცი ეშმაკისა არის, იზრუნეთ სულისათვის, რამეთუ სასუფეველი დაგემკვიდროსთ თქვენ. რასა ნიშნავს ზრუნვა ხორცისათვის, ძმანო ქრისტიანენო! ოდესაც ეძიებდეთ თქვენ სიმდიდრესა, კარგსა სახლ-კარსა, კარგ სასმელსა და საჭმელსა, კარგსა ტანისამოსსა, და სხვათა მისთა მაგვართა ეს არის ზრუნვა ხორცისათვის ვინცა იზრუნოს ხორცისათვის იმან დაჰკარგოს სული თვისი, რამეთუ ასე გვასწავლის უფალი ჩვენი. თქვენ კი დაჰკარგეთ ხორცი, უარჰყავით ყოველი ამა ქვეყნიური, ნუ ზრუნავთ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე, მოითმინეთ აიტანეთ ამ ქვეყანაზე ყოველისფერი და სამაგიეროთ მოიპოებთ სულსა, სამოთხესა შინა დაგამკვიდრებსთ თქვენ უფალი ჩვენი. (ჩუმათ თვალს გადაავლებს დაწერილს) უჰ, ერთი შევისვენო! (ადგება შკაფთან მივა, გააღებს ამოიღებს ჯიბიდან, გააღებს, ჭიქას ღვინით გაამსებს და გადაჰკრავს, მეორეთ გადაჰკრავს, შემდეგ შკაფის კარებს მიხურავს, გასაღები შიგ დარჩება და ხვნეშით გადის მეორე ოთახში) ეეხ! მძიმეა სამსახური უფლისა, მაგრამ ნეტარება მას, ვინც უფლის გულისათვის ამ ქვეყნიურს ყოველისფერს უარჰყოფს. (გასავალ კარებთან აღმოსავლეთისაკენ მოტრიალდება და ხელებს აღაპყრობს) მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა! გატრიალდება და გადის).

**ი. გომართელი.**

(შემდეგი იქნება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პურიშკევიჩი და ია ეკალაძე,
## „ნიშადურ“-„ისარი“ და „რუსკოე ზნამია“.

პურიშკევიჩი. ყოველგვარი უბედურება და შევიწროება ხალხისა, რევოლიუციონერებისაგან ხდება. საჭიროა, რომ ჩამოხრჩობილ იქნან ყველა რევოლიუციონერები და ქვეყანა აყვავდება.

ია ეკალაძე. დიდი უბედურება გამოიარა ჩვენმა ხალხმა სოც.-დემოკრატებისაგან. სოც.-დემოკრატები იბრძოდენ თვითმპყრობელობის გასამაგრებლათ. საბუთი გნებავთ? ინებეთ: სოც.-დემოკრატების სახელით განა არ ჩადიოდენ ჩვენში სხვა და სხვა ბოროტებას?

„ნიშადური“. სოც.-დემოკრატებმა დააქციეს ქვეყანა. ისინი რომ არ ყოფილიყვენ, გუნია და რიშ-ბაბა ქვეყანას ააშენებდენ. სოც. დემოკრატების სახელით განა ჩვენში ხალხს არ ავიწროებდენ?

„ისარი“. დიახ რომ სოც.-დემოკრატებმა დააქციეს ქვეყანა. ისინი რომ არ ყოფილიყვენ გუნია და რიშბაბასთან ერთად ჩვენ ქვეყანას სამოთხეში ვუკრავდით თავს. განა სოც.-დემოკრატების სახელით ხალხს არ ჩაგრავდენ?

„რუსკოე ზნამია“. რევოლიუციონერებმა დააქციეს რუსეთი. ისინი რომ არ ყოფილიყვენ, რევოლიუცია არ მოხდებოდა, რუსეთი რწყილივით განაბული იქნებოდა და ქვეყანა დაწყნარებული, მორჩილი და აყვავებული.

ია ეკალაძე. სოც. დემოკრატებმა გაადატაკეს ჩვენი ხალხი. მე და გუნია, რიშ-ბაბა და „ისრელები“ კი ხალხს ბედნიერებას მივანიჭებდით. ძალა და ღონე, გმირობა და თავდადება არ შეგვეძლო თუ? როცა სოც. დემოკრატები ქუჩაში სისხლისაგან იცლებოდენ, მე და გუნია თბილ-თბილ სოროში ვიყავით შეკუნჩხული და ხალხის ბრძოლას ფანჯრიდან ქუჩაზე ხანდახან თუ გადავხედავდით. გმირობაა მაშ რა ჯანაბაა!.. არა, სულ თბილ სოროში არ ვყოფილვარ. ერთხელ სოფლათაც ჩამიცვა ფეხი და როცა საქმე საქმეზე მიდგა და საჭირო შეიქნა გაუხჩადებულ რაზმელებთან ბრძოლა: მათთვის იარაღის აყრა, მე, შიშისაგან აცახცახებულმა, თბილისისაკენ მოვკურცხლე, სოც.-დემოკრატმა ნ. მინდიაშვილმა კი ხალხს თავი შესწირა. დასკვნა: სოც.-დემოკრატებმა დააქციეს ქვეყანა იგინმა ხალხის საქმეს თავი შესწირეს. მე კი მოვკურცხლე, თავს ვუშველე, გმირობა ჩავიდინე.

„ისარი“. სოც.-დემოკრატებმა დაგვღუპეს. ხალხმა კიტა აბაშიძე და იაკობ ფანცხავა დეპუტატებათ არ აირჩია.

„ნიშადური“. დაგვღუპეს, სწორეთ დაგვღუპეს.

პურიშკევიჩი. ვინ დააქცია მოსკოვი, ბალტიის მხარე, ციმბირი, მთელი რუსეთი? რევოლიუციონერების მოქმედებამ.

„ნიშადური“. ვინ დააქცია იმერეთი, ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, მთელი საქართველო? სოციალ დემოკრატების მოქმედებამ.

„ისარი“. დიახ, რომ ასეა.

„რუსკოე ზნამია“. ვინ შეაცდინა რუსეთის მართლმორწმუნე, მუდამ მორჩილი, თვითმპყრობელობისადმი სიყვარულით გამსჭვალული ხალხი? ვინ დაპირდა მას მიწა და თავისუფლება, წოდებრივი გათანასწორება, რესპუბლიკა და სხვა ასეთი სისულელეები? რევოლიუციონერებმა, ღვთისგან შეჩვენებულმა, წყეულმა რევოლიუციონერებმა.

„ნიშადური“. ვინ შეაცდინა ჩვენი ხალხი? ვინ დაპირდა მას მთელი მიწა და მთელი თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა და სოციალიზმი? ვინ დაპირდა მას წოდებრივი გათანასწორება, ბრწყინვალე თავადის კიტას გაგლეხკაცება? ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა.

„ისარი“. ჰაი, ჰაი რომ ეგრეა.

პურიშკევიჩი. რევოლიუციონერებმა დაღუპეს რუსეთი. მოსპეთ რევოლიუციონერები და აყვავდება რუსეთი.

„ნიშადური“. სოციალ-დემოკრატებმა დაღუპეს საქართველო დასკვნა: მოსპეთ სოც.-დემოკრატები და აყვავდება საქართველო.

ია ეკალაძე | ამინ!
„ისარი“ |

პურიშკევიჩი | ჩვენც ამინ!
„რუსკოეზნამია“ |

**კენტი.**

—

ეშმაკი—კირიელეისონ! კირიელეისონ, კირიელეისონ!

---

## პროვინციის მოღვაწეები.

(ხონი)

**ვალოდია აბაშიძე** (იგივე ვლადიმერი)

ორი წელიწადია, რაც ვალოდია აბაშიძე ხონს ესტუმრა. დიდხანს იყო ვალოდია საზოგადოების მიერ უყურადღებოთ დატოვებული და ისიც ჩუმათ უდრტვინველათ სასამართლო ბოქაულათ მწერლობას ეწეოდა. მაგრამ საზოგადოების გულ-გრილობა ერთობ გაჰქრა და დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა, როცა ვალოდია სცენაზე „არსენას“ როლში იხილეს. ამის შემდეგ ერთმა წრემ „ჭეშმარიტ ქართველებათ“ წოდებულმა, სიამოვნებით მიიღო ეს „перекати поле“, გადაუშალა თავისი გული და უთხრა: მობრძანდით ძვირფასო სტუმარო, მოიკალთე აქ, გეყოფა ამდენ ხანს ხეტიალი და ბედის ძებნა; შენ აქ „თბილ ადგილს“ იშოვნი, პატივ-დიდებას მოიხვეჭო... და ვალოდიამაც ორივე ხელი გაუწოდა სტუმარ მოყვარე მასპინძლებს, გრძელ ულვაშებში ჩაიცინა და თვალი ეშმაკურათ შეათამაშა. . ამ დღიდან ვალოდიას ვარსკლავი თანდათან სხივოსნდება და ბოლოს სავსებით იწყებს კაშკაშს. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ის გაზ. „ისარში“ ხონელ „ჭეშმარიტ ქართველების“

გექილათ გამოვიდა და აქაურ კორესპოდენტს კამათი და-უწყო. თუმცა ვალოდია ამ, მისთვის უცხო, ასპარეზზე დამარცხდა რადგან ლგუნიას ოდენა ფხიანობა ვერ გამო-იჩინა ჭორების თხზვაში, მაგრამ მაინც ჟურნალისტის სახელი გაითქვა... ქართულ ლიტერატურას ვალოდია აკობიას ნაწარმოებით იცნობს. იმისი ოთხი ტომი ძვირ-ფას თხზულებათ მიაჩნია და თითქმის ზეპირადაც იცის. ამის გამო ვალოდია ქართულ ენის მცოდნეთ მიაჩნიათ...

გაიხსნა თუ არა ხონში პროგიმნაზია, ვალოდიას, დაპირებისამებრ „კანცლერის“ ადგილი უშოვეს. გახარე-ბულმა ვალოდიამ მეორე დღესვე ორი „კაკარდა“ გაჭკრა ახალ ნაყიდ ქუდზე და ნაცნობთ ვიზიტით ჩამოუარა.

დღეს ვალოდია ჩინებულათ ასრულებს თავისს მო-ვალეობას... თავდამბლობა, თავადიშვილური თავაზიანო-ბა და სხვა ბევრი ამგვარი თანდაყოლილი თვისებები— სრული თავდებია იმისი, რომ აბაშიძე უფროსების ყუ-რადღებას დაიმსახურებს და დირექტორობას თუ არა, ინსპექტორობას მაინც იშოვის ხონის პროგიმნაზიაში...

№ 1.

---

## ასე მღეროდენ.

...რაც შრომის არის ნაყოფი თვით მშრომელების ხვედრია,
ამას-კი ვერვინ უარყოფს, თუ არ გიჟი და უბედია.
ხალხის საქმეთა მოწყობა თუ, მათი გამგეობაო,
თუ არ ხალხს ვის შეუძლია? რიგითაც მას ერგებაო.
მუშაა ქვეყნის მეურნე, მცხოვრებთა გამომკვებავი,
დ დღემდე თუ არ იცნობდენ, დღეს რათ არ სცნობენ ნეტავი?
შენი ჭირიმე მუშებო, ვერ აცვლდეთ თქვენსა მკლავსაო,
რომ ქვეყნის გამოსაკვებათ ძალას დაატანთ თავსაო.
ახლა-კი დრო იცვალა ჩვენც მოგიდგებით გვერდშიო,
ნუ დავშორდებით ერთმანეთს ლხინსა და განსაცდელშიო.

ასე მღეროდენ იმ დროში:
გიორგი, კიტა, ვალიკო,
იროდიონი, სილოვან,
ფანცხავაც მათთან მდგარ იყო.
ამირანები „ისრიდან“
შესაერთებლათ მზათ იყო,
თვით „ფარელთათვისც“ იმ ჟამათ
საგმირო საქმე სხვა იყო.

დრო კვლავ იცვალა, და ზემოთ მოხსენებული პირები,
ხელათ იცვლიან სიმაგრეს წყალს მისცენ დანაპირები.
ჯერ „მოიმასქნეს“ ალაგი საპატიო და თბილები,
მერმე შეუდგენ ჭორებსა ეს სინდის განაწბილები.
მით დაამტკიცეს ის სიბრძნე რა მათებრ ხალხზე თქმულია,
რომ „აწყლის სტვირი არ იმღერს მისთვის არც ვარგებულია.

გ. კვირტი.


# ავადმყოფებს და სუსტებს
# „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებ-რივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპ რმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედე?ს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებე-ლია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორ-განიზმში რაიმე სენის ან სიბერის ვ ვლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყე-ბენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლე-ვენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანად-გურებელ დრო-ჟამთან „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკა-რის შესანიშნავ აღმოჩენისა. შველის ყველაფერს: სისხლნაკ-ლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურე-ბულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბე-ბულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჰლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს, ბნედას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

### ავადმყოფთა წერილები.

**ბ. ი. ახობაძე! მ. ხ.** ამას წინათ გამოვიწერე თქვენ-გნით 2 ფლაკონი სპერმატინი, რომლის მიღების შემდეგ უკეთ ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, იგი არის საუკეთესო საშვალება ნერვების სისუსტისათვის, რომლითაც მე 5—6 წელიწადი ვიტანჯებოდი, ვიდრე მე თქვენგნით გამოვიწერ-დი, მანამდის გამოვიწერე 4 ფლაკონი სპერმინი კოლენიჩენ-კოსი გავლილი წლის ნოემბერში, მაგრამ არავითარი საშვა-ლება ჩემთვის არ მოუცია, ამიტომაც გულ-წრფელ მადლო-ბას ვწირავთ და ამასთანავე გთხოვთ წერილის მიღებისათა-ნავე გაგზავნოთ 2 ფლაკონი სპერმატინი ახალციხეში, რო-მელსაც უგზავნი ჩემ ძმას, რომელიც იგივე ნერვების სისუს-ტით არის ავათ.

ადრესი: ახალციხე, სევასტი პეტრეს ძე ნებიეროვი. პატივისცემით ნიკო ნებიეროვი. სოფელი ბარდა. 31 იანვა-რი 1908 წელი.

„სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებე-ლი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში და ბრიუსელში.

„უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფა-სოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავ-ნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის“ ვთხოვთ მი-მართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: თფილისი, პუშკინის ქ. № 15, ქარვასლის პირდაპირ. ან „სპერმატინის“ კანტორის განყოფილება ბაქო-ში, ი. გ. ახობაძეს. სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14. და ქუთაისში, აფთიაქის საწყობში კოკოშევთან მოი-კითხეთ „სპერმატინი“ ახობაძისა. ჭიათურაში იაშვილის აფ-თიაქში. ფოთში ბ-ნ კოხრეიძესთან. ცაგერში—ბ-ნს არსენ მჟავანაძესთან.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახო-ბაძე.** თფილისი, პუშკინის ქუჩა, სახ. № 15, ქარვას-ლის პირდაპირ. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.**



## ქუთათური მღვდლების საუბარი.

**პირველი მღვდელი.** სახიერო მამაო! თითქო მთელათ თქვენა ხართ აწერილი ამ „ეშმაკის მათრახში"!

**მეორე მღვდელი.** როგორ? განა მარტო მე? სამონასტრო ვის არ გადაუხდია!..

**მესამე მღვდელი.** გარბის და თანაც ღაღადებს: „ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან"!



## გასართობი.

### ერთგული ცოლი.

ერთმა ქვრივმა აზნაურმა მდიდარი ლამაზი ქვრივი შეირთო. ჯვარის დაწერის ექვსი თვის შემდეგ ლამაზ ქვრივს მეუღლე ასტკივდა, კონტრაბანდმა კურიერმა თავი იჩინა... ქმარი თავს ევლება, ერთგული ცოლი მორცხვობს, ინაზება...

— რისი გცხვენია ჩემო ბაბუცი, ყოველ კაცს რომ უყვარდი მეც მისთვის შეგიყვარე, თვარა ქვეყნის მოძულებული მე რათ მინდოდიო, ანუგეშა ქმარმა.

### ახალმოდის სამძიმარი.

ერთ გურულ კნეინას ვაჟი გარდაეცვალა. მეზობლები ჩვეულებისამებრ მივიდენ სანუკეშებლათ და სამძიმრის სათქმელათ. სხვათა შორის ერთმა „შეგნებულმა" ქალმა ასე მიუსამძიმრა:

— თქვენ ეხლა რასაკვირველია „მატერიალურათ" დაჩაგრული ხართ, მარა „პრინციპიალურათ" უნდა მოითმინოო!

**ავ-ყია.**

## „ეშმაკის მათრახის" ფოსტა

**ლანჩხუთი.** გ. ეკალს. თქვენი ლექსები მართლაც რომ ბლომათ მოგვდის და დიდის სიამოვნებითაც დავბეჭდავდით, რომ ერთი მათგანი ამისი ღირსი ყოფილიყო. აი თქვენი ახალი ლექსიდან უცვლელათ ერთი კუპლეტი.

თუნდ ბნელ საკანშიდ ჩამაგდონ,  
იქ იყოს ირგვლივ ბნელაო,  
მე მაინც სულ არ შევკრთები  
„ოდელა დელა, დელაო".

ეს რაღაც იმ ჩონგურს ჩამოჰგავს, რომელიც ვ. გუნიამ ამ სიბერის დროს აკაკის მისცა ხელში.

საუკეთესო მთელს თქვენ ლექსში ეს კუპლეტია:

ვერ შემაშინებს ციმბირი,  
ვერც ციხე, სახრჩობელაო,  
ვერც არხანგელსკში გაგზავნა  
„ოდელა დელა, დელაო".

---

რედაქტორ-გამომცემელი **თ. ბოლქვაძე.**

---

უყველკვირეული იუმორისტული

კარიკატურებიანი ჟურნალი

# „ეშმაკის მათრახი"

მთელი წლით ღირს . . . . . . 5 მან.  
ნახევარი წლით . . . . . . . . 3 „  
ერთი თვით . . . . . . . . . . . 50 კ.

ვინც მთელი წლით გამოიწერს გასული წლის ეშმაკის მათრახის ყველა ნომრები უფასოთ გაეგზავნება.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: სტრიქონი პეტიტისა უკანასკნელ გვერდზე 20 კ.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 11-დან 12 საათამდი „შრომის ამხანაგობის სტამბაში, რუსკი ქუჩაზე № 3.

რედაქციის ადრესი. Тифлисъ въ редакцію „Ешмакисъ Матрахи"

---

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

# „შრომა"

გადავიდა მიხაილოვის ქუჩიდან რუსკი ქუჩაზე სომხეთა სასულიერო სემენარიის ახალ შენობაში.

ღებულობს ქართულ და რუსულ საბეჭდავ საქმეებს.